



საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა
და
განვითარების მეთოდოლოგია

თბილისი

2018

მოქმედი რედაქცია

მუხლი 1. დებულების მოქმედების სფერო

1. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში – „უნივერსიტეტი“) საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში – „პროგრამა“) დაგეგმვის, შემუშავების, განხილვის, შეფასების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის წესსა და პროცედურებს;
2. წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის და თუნინგის პროექტის მასალების გამოყენებით.

მუხლი 2. მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამისადმი

1. პროგრამა წარმოადგენს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/კომპონენტების ერთობლიობას, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები შესაბამისი კრედიტებით, სწავლება-სწავლის მეთოდები, სტუდენტთა შეფასების სისტემა, ინფორმაცია მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსის შესახებ, სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები;
2. პროგრამა უნდა იყოს შედგენილი ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) შესაბამისად. პროგრამის კომპონენტებისათვის კრედიტის მინიჭება დამოკიდებულია სასურველი სწავლის შედეგის სრულ მიღწევაზე;
3. პროგრამის კომპონენტებია - სასწავლო კომპონენტი და სამეცნიერო-კვლევითი / კვლევითი კომპონენტი. პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები უნდა იყოს ლოგიკური და თანმიმდევრული;
4. პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს სათანადო დონით და კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში (შემდგომში – პროგრამა) მითითებული უნდა იყოს:
 - 5.1 პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად);
 - 5.2 მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად) - შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან;
 - 5.3 პროგრამის მოცულობა კრედიტებით - ა) ბაკალავრიატის პროგრამები მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს; ბ) ერთსაფეხურიანი (სამედიცინო/სტომატოლოგიური) პროგრამები არანაკლებ 360/300 კრედიტს; გ) მაგისტრატურის პროგრამები მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს; დ) დოქტორანტურის პროგრამები მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტისა;
 - 5.4 სწავლების ენა - საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება განხორციელდეს ქართულ ან უცხოურ ენაზე. საგანმანათლებლო პროგრამაში უნდა მიეთითოს რომელ ენაზე ხორციელდება პროგრამა;

- 5.5 პროგრამაზე მიღების წინაპირობა - პროგრამაზე მიღების წინაპირობები უნდა იყოს გამჭვირვალე და უზრუნველყოფდეს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას;
- 5.6 პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/კოორდინატორი;
- 5.7 პროგრამის მიზნები - უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას, ასევე დარგის სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს; უნდა იყოს ნათლად ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადი; ასახული უნდა იყოს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა; უნდა იყოს საჯარო, ხელმისაწვდომი და გაზიარებული პროგრამაში ჩართული პირების მიერ;
- 5.8 სწავლის შედეგები - უნდა აღწერდეს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობას, ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერს, დარგობრივ მახასიათებელს (არსებობის შემთხვევაში) და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; უნდა იყოს მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადი; უნდა შეესაბამებოდეს დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს; პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე (გაცნობა; გაღრმავება; განმტკიცება) უნდა განვითარდეს; უნდა განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართული უნდა იყოს ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები);
- 5.9 პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა - ასახული უნდა იყოს მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობა;
- 5.10 სწავლების - სწავლის მეთოდები - შესაბამისობაში უნდა იყოს უმაღლესი განათლების საფეხურთან, პროგრამის მიზანთან, სწავლის შედეგებთან, შინაარსთან და უზრუნველყოფდეს შესაბამისი ცოდნის, უნარების და პასუხისმგებლობის, ავტონომიურობის მქონე სპეციალისტის მომზადებას;
- 5.11 სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა - უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას, პროგრამის სპეციფიკას, დაგეგმილ სწავლის შედეგებს; უნდა იყოს გამჭვირვალე და აერთიანებდეს შეფასების იმ ფორმებს, მეთოდებს და კრიტერიუმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტის მიღწევების შეფასებას და იმის დადგენას თუ რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი შედეგი;
- 5.12 კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო - დასაქმების სფერო უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის მიზანს, შინაარსს და კურსდამთავრებულის კომპეტენციებს;

- 5.13 სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა - უნდა მიეთითოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უმაღლესი აკადემიური განათლების რომელ საფეხურზე შეძლებს კურსდამთავრებული სწავლის გაგრძელებას;
- 5.14 ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ;
- 5.15 ინფორმაცია პროგრამის ფინანსური მდგრადობის შესახებ.
6. საგანმანათლებლო პროგრამას უნდა ახლდეს:
- 6.1 პროგრამის სასწავლო გეგმა - სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს ყველა სავალდებულო და არჩევით კომპონენტს, შესაბამისი კრედიტების, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების, დაშვების წინაპირობების და სემესტრების მითითებით. სასწავლო გეგმაში მითითებული არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის ჯამი უნდა აღემატებოდეს არჩევითი სასწავლო კურსებისთვის პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საერთო რაოდენობას;
- 6.2 ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ, სახელის, გვარის, აკადემიური თანამდებობის მითითებით;
- 6.3 სწავლის შედეგების (კურიკულუმის) რუკა - სადაც მითითებული იქნება თუ რა დონით (გაცნობა; გაღრმავება; განმტკიცება) ავითარებს პროგრამის ესა თუ ის კომპონენტი პროგრამის სწავლის შედეგს;
- 6.4 პროგრამის სამიზნე ნიშნულები - თითოეული სწავლის შედეგისათვის უნდა დადგინდეს სამიზნე ნიშნული, რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევს სტუდენტი თითოეულ სწავლის შედეგს;
- 6.5 სასწავლო კურსის/კომპონენტების პროგრამები (სილაბუსები) - სილაბუსში მიეთითება: სასწავლო კურსის სახელწოდება, ავტორი, ლექტორი/ლექტორები, სასწავლო კურსის მიზნები, კრედიტის რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები), სასწავლო კურსის წინაპირობა, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების-სწავლის მეთოდები, შეფასების სისტემა, ძირითადი ლიტერატურა, დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა. სასწავლო კურსი შესაძლებელია იკითხებოდეს უცხოურ ენაზე შესაბამისი წინაპირობის დაცვით.

მუხლი 3. პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/ კოორდინატორი

1. საგანმანათლებლო პროგრამას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი;
2. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის შესაბამისი მიმართულების / დარგის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, რომელსაც გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება;

3. საგანმანათლებლო პროგრამის რამდენიმე ხელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში ერთ-ერთი მათგანი შეიძლება იყოს კოორდინატორი პროგრამის ხელმძღვანელთა საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე;
4. საგანმანათლებლო პროგრამას შეიძლება უხელმძღვანელოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე რექტორის ბრძანებით მოწვეულმა პირმა;
5. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი/კოორდინატორი: ორგანიზებას უწევს პროგრამის შემუშავების პროცესს; უზრუნველყოფს პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, პროგრამის განვითარებას უნივერსიტეტის მისიის, ხედვისა და სტრატეგიის შესაბამისად; სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას კურიკულუმის შესახებ, უწევს კონსულტაციას სასწავლო პროცესის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (საჭიროების შემთხვევაში) ოპტიმალურად დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, საკვალიფიკაციო ნაშრომთან, ნაშრომის ხელმძღვანელთან და სხვ. საკითხებთან დაკავშირებით; პასუხისმგებელია პროგრამის თანამედროვე სასწავლო მასალით უზრუნველყოფაზე; მონაწილეობს პოტენციური სტუდენტების მოზიდვის ღონისძიებებში; თანამშრომლობს სკოლის დეკანატთან, უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან; თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, მონაწილეობს პროგრამის შეფასებაში, მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის მოდიფიცირების მიზნით ორგანიზებას უკეთებს სამუშაო ჯგუფის შექმნას და ხელმძღვანელობს მის მუშაობას, აგვარებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს და სხვ.

მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა

1. პროგრამის საჭიროების განსაზღვრა. ამ მიზნით უნივერსიტეტი ატარებს შრომის ბაზრის კვლევას და განსაზღვრავს პროგრამის საჭიროებას დაინტერესებულ მხარეებთან (აკადემიური პერსონალი, დამსაქმებლები, დარგის სპეციალისტები და სხვა) კონსულტაციების საფუძველზე;
2. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობის განსაზღვრა;
3. მისანიჭებელი კვალიფიკაციის განსაზღვრა;
4. შრომის ბაზრის ანალიზის და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის საფუძველზე დარგში არსებული საჭიროებების დადგენა, პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების (ცოდნა, უნარები და პასუხისმგებლობა, ავტონომიურობა) განსაზღვრა;
5. პროგრამის ფარგლებში მისაღწევი დარგობრივი და ტრანსფერული კომპეტენციების იდენტიფიცირება;
6. კურიკულუმის სტრუქტურის და შინაარსის განსაზღვრა;
7. სწავლებისა და სწავლის მეთოდების და სტუდენტის შეფასების მეთოდების განსაზღვრა.

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

1. პროგრამებს შეიმუშავებს შესაბამისი სკოლის აკადემიური (მათ შორის აფილირებული) და მოწვეული პერსონალი. პროგრამის შემუშავების პროცესში აკადემიური და მოწვეული პერსონალის გარდა მონაწილეობას ღებულობს დაინტერესებული მხარეები (სტუდენტები, დარგის სპეციალისტები, პოტენციური დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სხვ.);
2. პროგრამის შემუშავების მიზნით აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან, დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებისგან სამუშაო ჯგუფის შექმნა. სამუშაო ჯგუფის საქმიანობას უნდა უძღვებოდნენ პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი;
3. პროგრამას განიხილავს სკოლის საბჭო და დადებითი შეფასების შემთხვევაში განსახილველად გადასცემს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

მუხლი 6. საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან

1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს და ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან და უნივერსიტეტის რეგულაციებთან;
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხარვეზის დაფიქსირების შემთხვევაში, პროგრამა უზრუნდება სკოლის საბჭოს მითითებული შენიშვნის გასათვალისწინებლად;
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამა განსახილველად და დასამტკიცებლად გადაეცემა აკადემიურ საბჭოს.

მუხლი 7. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება

1. უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შეფასებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
2. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:
 - 2.1 ახორციელებს სასწავლო პროცესის, მათ შორის საგამოცდო პროცესის მონიტორინგს;
 - 2.2 ატარებს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, პროგრამის განმახორციელებელი ან/და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვებს. საჭიროების შემთხვევაში ახდენს ინტერვიუებებს;
 - 2.3 ახორციელებს სასწავლო მასალების განახლების მონიტორინგს;
 - 2.4 პროგრამის შეფასებისთვის შესაძლებელია გამოყენებული იყოს სხვადასხვა ინდიკატორი, რომელთა დანიშნულებაა პროგრამის შეფასება რაოდენობრივი მაჩვენებლების მეშვეობით. მაგ.:
 - 2.4.1 პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი;
 - 2.4.2 პროგრამაზე ჩარიცხის დინამიკა;

- 2.4.3 გარე მობილობით პროგრამაზე გადმოსული და პროგრამიდან გადასული სტუდენტების რაოდენობა და მათი თანაფარდობა;
 - 2.4.4 პროგრამის საფეხურითა და ხანგრძლივობით გათვალისწინებულ ვადაში პროგრამის დასრულების მაჩვენებელი;
 - 2.4.5 სასერტიფიკატო გამოცდების შედეგები;
 - 2.4.6 უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი;
 - 2.4.7 კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
 - 2.4.8 კურსდამთავრებულთა სპეციალობით დასაქმების მაჩვენებელი და/ან სხვ.
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, მონიტორინგის შედეგების, დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების, წინადადებების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს და შესაბამის სკოლას;
 4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციებს განიხილავს სკოლის საბჭო და აძლევს მითითებებს პროგრამის ხელმძღვანელს/კოორდინატორს პროგრამაში ცვლილებების გათვალისწინების თაობაზე;
 5. პროგრამის მოდიფიცირების საფუძველი უკუკავშირის გარდა შეიძლება იყოს პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივა საზოგადოების მოსალოდნელი განვითარების გათვალისწინების საფუძველზე;
 6. მოდიფიცირებულ პროგრამას განიხილავს სკოლის საბჭო და დადებითი შეფასების შემთხვევაში, პროგრამას განსახილველად გადასცემს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
 7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას მოქმედ სტანდარტებთან;
 8. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის საფუძველზე მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამა განსახილველად და დასამტკიცებლად გადაეცემა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.